



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №12

2013 წლის 23 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №522-დან №576-მდე მდებარე
4002.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის
საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №522-დან №576-მდე მდებარე 4002.0 კვ.მ. (ს/კ №20.42.01.268) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 218.000 (ორასთვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №522-დან №576-მდე მდებარე 4002.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (რ.კარალიძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი

